ლომკა

№6, 2017

ემზარ კვიტაიშვილი

ტყის ზღაპარი

(ყრმობაში გაგონილი)

იყო დათვი ბურდღუნა,
ჰყავდა ბელი – ბობღანა;
მამით ობოლს უყვარდა
დედის ზურგის მოფხანა.
პანტას მიადგებოდა –
უკვე არის მწიფეო,
დაარხიე, დედიკო,
ანდა დამიკრიფეო.
ზოგჯერ პირმშოს ბურდღუნა
წაიყვანდა ყანაში;
აღარ ჰქონდა საზღვარი
სიხარულს ბობღანასი.
მზიან ველზე, ტყის პირას,
კალო ჰქონდა გაშლილი;
რძიან ტაროს, ჭყინტ სიმინდს –
თქვლეფდნენ დედა და შვილი.
გიხაროდეთ, თაფლიანს
თუ მიაგნეს ფუღუროს;
რა სიამით სვლეპავენ,
უნდა დადგეთ, უყუროთ.
შესთხოვს მშობელს, მარგუნე
კიდევ ერთი გეჯაო;
დედა ტუქსავს, გეყოფა,
მუცელგასაგლეჯავო.

კეფას იფხანს ბურდღუნა,
დღეს იხსენებს ავდრიანს;
თოფი ერთ მონადირეს
თავზე გადაამტვრია.
დაავიწყა ტყვიები,
იარაღი, თოფხანა...
უნამუსო – დედითაც
აობლებდა ბობღანას.
ტორი გასცხო ბურდღუნამ –
თუმც შეეძლო, საშინლად
დაებუბნა – გაუშვა,
კაცი ვერ გაიმეტა.
ეს თქვა მხოლოდ: იაროს,
იყოს უფლის ნებაო,
შემეცოდა, იმასაც
შვილი ეყოლებაო.
ყურებს რომ აბარტყუნებს,
ტუჩი რომ მოხატვია;
ნადირთ შორის ყველაზე
საყვარელი დათვია.
ბობღავ ბელი – სამოსი
აქვს უხეში, ჩხვლეტია;
გაცუღლუტდა, უმატა
ტყე-ღრეებში ხეტიალს.
ოხრავს დედა, მაგისი
დევნით დავიღალეო;
ხიფათს გადაეყრება,
დაჭკვიანდეს მალეო.
კოტრიალობს, ერთობა
ხან ისე და ხან ასე;
სხვა დროს წვრილად გიამბობთ –
ოინებს ბობღანასი.

მხატვარი
მალხაზ კუხაშვილი

ჯულია დონალდსონი

გოლიათი კოხტა გამოუხყო კოხტად

სახელად კოხტა ერქვა და იყო გოლიათი, ქალაქში ყველაზე ფეთხუმი გოლიათი. თმადაუვარცხნელმა ლანჩშემორღვეული ფეხსაცმლით იცოდა ქალაქში ბოდიალი. მუდამ გაცვეთილი სამოსი ეცვა, ცხრაგან დაკემსილი ნახმარი სამოსი.

„არ მინდა, ვიყო ქალაქში ყველაზე ფეთხუმი გოლიათი“, – ამბობდა მოწყენილი.

მაგრამ ერთ დღესაც კოხტამ დაინახა ახალი მაღაზია. არ იყო რიგი და ეწყო უამრავი კოხტა სამოსელი, ადგა და იყიდა:

კოხტა პერანგი,
კოხტა შარვალი,
კოხტა ქამარი, რკინისბალთიანი,
კოხტა ყელსახვევი, მთლად ზოლებიანი,
კოხტა წყვილი წინდა, ნაქარგი მთლიანად,
და წყვილი ფეხსაცმელი, კოხტა და პრიალა.

„სხვა ვინ არის ქალაქში
ახლა უფრო კოხტა,
ვიდრე მე ვარ ამ სამოსში,
გოლიათი კოხტა“, – ამაყად წაიმღერა.

მაღაზიაშივე დატოვა თავისი ნახმარი სამოსი. ის იყო, სახლისკენ წასვლა დააპირა, რაღაც ხმა შემოესმა. ჟირაფი იდგა ტროტუარზე და სევდიანად სრუტუნებდა.

„რა მოხდა?“ – იკითხა კოხტამ.

„რადგან არის ძალზე გრძელი,
სულ ცივია ჩემი ყელი, – თქვა ჟირაფმა, –
რა იქნება, რომ გამითბოს
გრძელმა შარფმა“.

„ყურები ნუ ჩამოყარე!“ – უთხრა კოხტამ. მოიხსნა თავისი ზოლებიანი ყელსახვევი, „მაინც არ უხდებოდა ჩემს მოქარგულ წინდებს,“ – თქვა და ჟირაფს ყელზე მოახვია.

შარფი ეს იყო, თუ იყო!

„გმადლობ!“ – თქვა ჟირაფმა.

კოხტა სახლისკენ გაეშურა, გზად თავისთვის ჩუმად ღიღინებდა:

„ჩემი ყელსახვევი შარფით
ჩაითბუნებს ყელს ჟირაფი,
მაგრამ, აბა, შემომხედეთ,
ყველა აქეთ მოტრიალდით –
სხვა ვინ არის ამ ქალაქში
ჩემზე კოხტა გოლიათი!“

ჩაითბუნებს ყელს ჟირაფი,
მაგრამ, აბა, შემომხედეთ,
ყველა აქეთ მოტრიალდით –
სხვა ვინ არის ამ ქალაქში
ჩემზე კოხტა გოლიათი!“

და აი, მდინარეს მიადგა კოხტა. ნავში თხა იდგა და საბრალოდ კიკინებდა.

„რა მოხდა?“ – იკითხა კოხტამ.

„ძლიერად რომ ქროდა ქარი,
დამიგლიჯა იალქანი, – აკიკინდა თხა. –
ახალი და გამძლე მეტად,
იალქანი მქონდეს, ნეტავ,
რაღა მინდა სხვა!“

„ყურები ნუ ჩამოყარე!“ – უთხრა კოხტამ, და გაიხადა თავისი ქათქათა პერანგი. „მაინც სულ ამოჩაჩული მქონდა,“ – თქვა და თხის ნავის ანძაზე გამონასკვა.

იალქანი ეს იყო, თუ იყო!

„გმადლობ!“ – თქვა თხამ.

კოხტა სახლისკენ გაეშურა, გზად თავისთვის ჩუმად ღიღინებდა:

„ჩემი ყელსახვევი შარფით
ჩაითბუნებს ყელს ჟირაფი,
გააქროლებს თხის ნავს ქარი,
აქვს პერანგის იალქანი,
მაგრამ, აბა, შემომხედეთ,
ყველა აქეთ მოტრიალდით –
სხვა ვინ არის ამ ქალაქში
ჩემზე კოხტა გოლიათი!“

და აი, ნასახლარს მიადგა კოხტა. თეთრი თაგვი იდგა იქვე ახლოს, თან ბევრი პატარა წრუწუნა ახლდა. ყველა ერთხმად წრიპინებდა.

„რა მოხდა?“ – იკითხა კოხტამ.

„მთლად დაიწვა ჩვენი სახლი, –
დედა თაგვი აწრიპინდა. –
სად ვიცხოვროთ, რა ვქნათ ახლა.
ეჰ, ახალი სახლი გვინდა!“

„ყურები ნუ ჩამოყარე!“ – უთხრა კოხტამ, და წაიძრო ფეხიდან თავისი პრიალა ფეხ-

საცმელი. „მაინც ბებერებს გამიჩენდა“, – თქვა, როგორც კი თაგვი და მისი წრუწუნები შიგნით ჩაძვრნენ.

აი, სახლი ეს იყო, თუ იყო!

„გმადლობ!“ – დაიწრიპინეს ერთხმად.

კოხტა ახლა ასკინკილა მიდიოდა, მაგრამ მაინც აინუნშიც არ აგდებდა. მიხტოდა და ღიღინებდა:

„ჩემი ყელსახვევი შარფით
ჩაითბუნებს ყელს ჟირაფი,
გააქროლებს თხის ნავს ქარი,
აქვს პერანგის იალქანი,
ჩემი ფეხსაცმელი ახლა
თაგუნიებს უდგათ სახლად,
მაგრამ აბა, შემომხედეთ,
ყველა აქეთ მოტრიალდით –
სხვა ვინ არის ამ ქალაქში
ჩემზე კოხტა გოლიათი!“

კარვების ბანაკს მიადგა კოხტა. კარავთან მელა იდგა და ტიროდა.

„რა მოხდა?“ – იკითხა კოხტამ.

„ჩემი საძილე ტომარა, – თქვა მელამ. –
გუბე რომ არა...
შიგ ჩამივარდა დილით.
ეჰ, ნეტავ საძინებელი
მქონდეს მშრალი და თბილი!“

„ყურები ნუ ჩამოყარე!“ – უთხრა კოხტამ და გაიძრო ცალი წინდა, მთლიანად მოქარგული. „მაინც თითებზე მიღიტინებდა,“ – თქვა, როგორც კი მელამ შიგ მოიკალათა.

საძინებელი ტომარაც ეს იყო, თუ იყო!

„გმადლობ!“ – თქვა მელამ.

მიხტოდა კოხტა, მღეროდა კოხტად:

„ჩემი ყელსახვევი შარფით
ჩაითბუნებს ყელს ჟირაფი,
გააქროლებს თხის ნავს ქარი,
აქვს პერანგის იალქანი,
ჩემი ფეხსაცმელი ახლა
თაგუნიებს უდგათ სახლად,
ჩემი წინდა კი მელიას
თბილი საძინებელია,
მაგრამ, აბა, შემომხედეთ,
ყველა აქეთ მოტრიალდით –
სხვა ვინ არის ამ ქალაქში
ჩემზე კოხტა გოლიათი!“

ამასობაში კოხტა დამყაყებულ ჭაობს მიადგა. ჭაობთან ახლოს ძაღლი იდგა და ყმუოდა.

„რა მოხდა?“ – იკითხა კოხტამ.

„ჭაობია, – უთხრა ძაღლმა. –
არსად არის ახლომახლო მშრალი ფონი.
მაგრამ უნდა გავიარო, გადავლახო.
ეჰ, ნეტავი საიმედო,
მშრალი ბილიკები ვნახო!“

„ყურები ნუ ჩამოყარე!“ – უთხრა კოხტამ, და რკინის ბალთიანი ქამარი შემოიხსნა. „მაინც წელზე მომიჭირა,“ – თქვა და ჭაობზე დადო.

გზა ეს იყო, თუ იყო!

„გმადლობ!“ – თქვა ძაღლმა.

დაუბერა ქარმა, მაგრამ კოხტა არად დაგიდევდა. ხტუნაობით მიდიოდა, მიიმღერდა:

„ჩემი ყელსახვევი შარფით
ჩაითბუნებს ყელს ჟირაფი,
გააქროლებს თხის ნავს ქარი,
აქვს პერანგის იალქანი,
ჩემი ფეხსაცმელი ახლა
თაგუნიებს უდგათ სახლად,
ჩემი წინდა კი მელიას
თბილი საძინებელია,
ძაღლიც გავა ჭაობიდან,
ჩემს ქამარზე გადავიდა.
მაგრამ...
მძვრება შარვალი და როგორ მცივა.
ახლა რა ვარ – გოლიათი სასაცილო!“

უეცრად მოიწყინა კოხტამ, აკანკალებულმა იგრძნო, რომ აღარ არის კოხტა. ცალ ფეხზე დადგა და დაფიქრდა. „უნდა დავბრუნდე მაღაზიაში და ახალი სამოსი ვიყიდო“, – გადაწყვიტა. ამ იმედით ასკინკილა გაეშურა მაღაზიისკენ. მაგრამ მაღაზიაზე დახვდა წარწერა – ДАКЕТИЛИА!

„ო, არა!“ – ატირდა კოხტა. ქვაფენილზე დაეშვა, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. ახლა ისეთივე მოწყენილი იყო, როგორც ის ცხოველები, სახლისკენ მიმავალს გზად რომ შეხვდნენ. უეცრად მზერა გვერდით გაექცა და დაინახა ჩანთა, საიდანაც რაღაც ძალიან ნაცნობი მოჩანდა. კოხტა დააკვირდა და... „ჩემი პერანგი! – წამოიყვირა, – ჩემი საყვარელი ძველი პერანგი და სანდლები!“ კოხტამ სასწრაფოდ ჩაიცვა. რა მშვენიერი და მოხერხებული იყო ძველი სამოსი. „მე ვარ ქალაქში ყველაზე მოხერხებულად გამოწყობილი გოლიათი!“ – აღტაცებული ყვირილითა და ცეკვა-ცეკვით გაუყვა გზას შინისაკენ.

მისი სახლის წინ, ეზოში თავი მოეყარათ

ცხოველებს, ვისაც ის დაეხმარა. უზარმაზარი საჩუქარი მოეტანათ.

„მოდი, კოხტა, – უთხრეს მათ. – გახსენი!“ კოხტამ საჩუქარს ლენტა შემოხსნა. შიგნით იდო ულამაზესი ოქროსფერი ქაღალდის გვირგვინი და ბარათი. „ბარათიც გახსენი, კოხტა!“ – უთხრეს ცხოველებმა. კოხტამ გვირგვინი თავზე დაიდგა და ბარათი გახსნა.

„შენი ყელსახვევი შარფით
ყელს ითბუნებს კვლავ ჟირაფი,
ქარი როცა დაუბერავს,
თხა იალქნად გაშლის პერანგს,
შენი ფეხსაცმელი ახლა
თაგუნიებს უდგათ სახლად,
შენი წინდა კი მელიას
თბილი საძინებელია,
ძაღლიც მყაყე ჭაობიდან
შენი ქამრით გადავიდა,
ამიტომაც ეს გვირგვინი შენ ატარე,
სულერთია, რა გაცვია –
ძველმანი თუ რამე კოხტა,
შენ ხარ ჩვენი საყვარელი გოლიათი,
ჩვენი კოხტა!“

ინგლისურიდან თარგმნა
ვასილ გულეურმა

მხატვარი
იულია ნიკოგოსოვა

მზია ჩხეტიანი

და ჰა, ბინდიც

გარეთ მზე და ოქროსფერი
ფოთლის შარიშურია,
რომელიღაც ჩიტი მღერის,
ბიჭსაც ფრენა სწყურია.
ფრთებს გაშლის და ფანჯრიდანვე
გადახტება ზურია.
ბურთი დახტის,
ბურთი დაქრის,
ბურთსაც ფრენის ჟინი აქვს...
– აბა, მიდი, ბიჭო, ბადრი!
– აქ ვარ, ნუ გეშინია!

ბადრის ავთო გამოენთო,
ავთოს – კანჭა ზაური,
ფოცხვერივით შეხტა თენგო,
– ბიჭოს! – აი, თავური!
არის ერთი ჟრიამული,
დამდი-დიმდი-დაური...
– აბა, მოდი! – აბა, მიდი!
და ჰა, ბინდიც –
ჩუმ-ჩუმად...
ეს ფოთოლიც, ფერად შინდი,
ნეტავ, რას აჩურჩულდა?
მოიწყინეს თურმე მარტო
დარჩენილმა წიგნებმა, –
ზურია ბიჭს, იმ ჩვენს პატრონს,
გზა აებნა, იქნება!

მხატვარი
მალხაზ კუხაშვილი

მეორე დღე...
ოქროსფერი
ფოთლები კვლავ მღერიან,
ორიანსაც გედის ყელი
კოხტად მოუღერია.
მოწყენილა, მოღუშულა
ჩვენი ბიჭი – ზურია,
აღარ უსმენს ჩიტებს სულაც
და არც ფრენა სწყურია...

მარიამ წიკლაური

ბებოს სამზარეულო

ბებოს ლხინი

– აბა, ჩემო სანოვაგევ ხვავისა,
იქეც სტუმრის და მასპინძლის ხალისად!
მადლი უფალს, რომ გვარგუნა ლუკმა,
მალე გავშლით ჩვენს ჯადოსნურ სუფრას! –
ამბობს ბებო და ამზადებს სადილს,
ყველასათვის მართავს ნამდვილ ნადიმს:
პური – ჩვენ,
ნამცეცი – ჩიტსო,
ჩვენს ფანჯარასთან რომ ზისო,
ხორცი – ჩვენ და
ძვალი – ძაღლსო,
ამ სახლს დარაჯად რომ ჰყავსო.
მჭადი – ჩვენ და ქატო – ქათამს,
ყველი – ჩვენ და შრატი – კატას,
ხილი – ჩვენ, ნაფცქვენი – ღორსო,
რაც დაგვრჩება – მარჯვე ცოცხსო,
ჩენჩო – ბუხარს, კურკა – მიწას,
ბებომ ლუკმა ყველას მისცა.

სუპი

ერთი ჩამჩაც საქმე არის,
მაგრამ ერთს სჯობს ორი!
ვინც ჭკვიანი არის სხვაზე,
ის სამსაც ჭამს, მგონი.
ზოგს პატარა თეფშიც ჰყოფნის,
ზოგს არ ჰყოფნის დიდიც.
მათლაფიდან ჩვენს პირამდე
გავდოთ კოვზის ხიდი.
სუპი უყვართ თურმე პირებს,
სუპი უყვართ მუცლებს.
უყვარს ხელ-ფეხს, უსუპობას
თურმე ვერვინ უძლებს.
უყვართ ცხვირებს, ყურებს,
თვალებს,
ყველას უყვარს სუპი,
რადგან გაზრდის წამალია,
მას არავინ უფრთხის.
ის ნამდვილი სარდალია
სადილის და სუფრის.
უხმოდ უნდა ამოვხაპოთ
კოვზით ეს ზღვა სუპის.

ლეილა მესხი

თათრის ძაღლები

ვუძღვნი ლიდა სტვილიას ხსოვნას

მუხათწყაროში გატარებულ დღეებს ვიგონებ...

შემოდგომის დამდეგს პოეტ ქალბატონს, ლიდა სტვილიას, ერთი ჩვეულება ჰქონდა: თანამოაზრეებს (უმეტესად ახალგაზრდებს) აიყოლიებდა და დაწნული კალათით, ფერადი ქოლგით ტყის ბილიკებს შეუყვებოდა. შემოდგომის მსუყე ფერები იზიდავდა, თავისკენ ეწეოდა. ჩიტების ჭიკჭიკი, გალობა, ტყის სიმყუდროვე, მწიფე შინდის, მოცვის, ასკილის, მაყვლის სურნელი – ყველაფერი ეს აბრუებდა, თავისკენ ეწეოდა პოეტ ქალს... იმ დღეს რა მოხდა, არ ვიცი, გამყოლი ვერ იპოვა თუ მარტოდმარტო ხეტიალი მოიწადინა, ბილიკს შეჰყვა. – მწიფე მაყვალი მეძახის, დაკრეფას მთხოვსო, – წასვლისას გამიმხილა. არადა, ვხედავდი, როგორ მიირწეოდა აღმართზე პოეტი ქალის მოქნილი სხეული, რაღაც ძალა ეწეოდა თავისკენ. სახე არ უჩანდა, ქოლგა უფარავდა. სამოც წელს იყო მიტანებული. თხელი და კაფანდარა ახალგაზრდული ენერგიით აღვსილს ჰგავდა. მაღალი შუბლი და ფართო, თაფლისფერი თვალები მის გამოხედვას სანდომიანს ხდიდა. ვარდისფერი ყვავილებით მოჩითული ქოლგა თავმომწონედ ეჭირა ხელში, თითქოს მაყვლის დასაკრეფად კი არ მიდიოდა, არამედ მწვანე ჭალაზე გასეირნება მოსურვებოდა...

შუადღის მზემ მცხუნვარებას რომ უმატა და სუნთქვა გაძნელდა, რატომღაც ლიდაზე ფიქრმა შემიპყრო. იგი არ ჩანდა. არც მძებნელი ჰყავდა ვინმე – ოჯახის წევრები თბილისში იმყოფებოდნენ, ლიდა მარტოდმარტო შერჩენოდა მუხათწყაროს. არადა, დაბრუნება დაუგვიანდა. რა ხდება? მალიმალ გავცქეროდი გზას. უსიამო წინათგრძნობა გულს მიკუმშავდა...

არც შევმცდარვარ. მოგვიანებით, მზის ჩასვლის წინ, როგორც იქნა, გამოჩნდა... ვერ ვიცანი. შინდისფერი, მარმაშა კაბა დაგრძელებოდა, ფეხებში ედებოდა. ძლივს მოლასლასებდა... ქოლგა ეხურა, მაგრამ ვაი იმ დახურვას, გვერდზე მობრეცოდა. კალათი ცარიელი იყო. ფერგამკრთალსა და გაცრეცილს ყოველგვარი ხალისი დაჰკარგოდა. ჭირ-ვარამგადატანილს ჰგავდა. შიშსა და ფათერაკს რომ გადაეყრები და კარგა ხანს გონზე ვერ მოსულხარ, ამგვარ დღეში იყო. ჭიშკარი გავაღე და შინ მოვიწვიე. უხმოდ შემომყვა. ხმას არ იღებდა. დაველოდე, სანამ დაწყნარდებოდა.

– წყალი დამალევინე...

ცოტა გონს მოვიდა.

– იმ ოქროსფერ მთას ხედავ? – სადღაც ზემოთ, ტყის მხარეს გაიხედა. – იმ ბექობზე ასვლა მიყვარს. მარტო არასდროს ავსულვარ, ახლა რამ მომაგუნება, არ ვიცი. შინდსა და მაყვალს იმდენად არ დავხარბებივარ, უფრო ზემოდან გადმოხედვა მსიამოვნებს. თბილისი ხომ მოჩანს, დასავლეთით – დიდგორის ველი გაფენილა, ისტორიული ადგილი. ხელისგულზე გადაშლილს ჰგავს. დიდი, მწვანე ველი მაყვლის ბუჩქნარით არის შემორკალული, შუაში მუხა დგას – ვეება, ტოტებგადაშლილი, ჩრდილიანი.

მხატვარი
ვაჟა ქურხული

როგორც იქნა, ავაღწიე, მწვანე ჭალაც გავიარე. ის იყო, მუხის ჩრდილებს უნდა შევფარებოდი, რომ რაღაც ხმა მომესმა. უცხო ქშენა, ხრიალი, ყეფა... და დავინახე: ლამის ყოველი მხრიდან გამოჩნდნენ, ჩემკენ მოიწევდნენ, ირგვლივ მერტყმოდნენ. მეცხვარის ძაღლები აღმოჩნდნენ... ჩვენთან „თათრის ძაღლებს“ ეძახიან. ავები არიან, დაუზოგავები. ღრენით, ქშენით, პირზე დუჟმომდგარი მოიწევდნენ ჩემკენ. შავად გამურული, ლაშიანი თათრის ძაღლები. მთელი ხროვა იყო. საიდან მოვიდნენ, ცხვრის ფარა არსად ჩანდა! მათმა მოღებულმა პირმა, გაალმასებულმა მზერამ ლამის გონი დამაკარგვინა. ბრაზიანები და დაუნდობლები ჩანდნენ... ასეთი შიში ჩემს სიცოცხლეში არ განმიცდია. მშველელი არავინ მყავდა. მივხვდი, დაძახება არ შეიძლებოდა, არც განძრევა, წამოდგომა და გაქცევა, მით უმეტეს შეუძლებელი იყო... უმალ წამესეოდნენ და დამგლეჯდნენ. ამას აშკარად ვგრძნობდი... სადაც ვიყავი, იქვე ჩავიკეცე, მწვანე ბალახში მოწყვეტით ჩავეშვი. არადა, ვხედავ, თანდათან ახლოს მოდიან, მოიწევენ. მიახლოვდებიან. ავი მზერით, დაღებული პირით, წვეტიანი კბილებით, ქელვით... სველი, ლორწოიანი ენით ლამის მეხებიან... მცირედი ხელის გაქნევა, გაწყრომა და... აშკარად დამგლეჯენ!

საოცარი რამ მოხდა! გონება დავკარგე-მეთქი, ვერ ვიტყვი – უძალომ და შიშატანილმა, ერთბაშად სხვა სამყაროში გადავინაცვლე, სხვა სამყოფელში აღმოვჩნდი, ჩემს ბავშვობაში... „შიში არ შეგატყონ!“ – შორეული ხმა ჩამესმა. ვისი ხმა იყო, ვერ მივხვდი. – „დაუყვავე, მოეფერე...“ არადა, მათი მოფერება ძალზე ძნელი იყო! ჩემდა უნებლიეთ ავჩურჩულდი: „რა იყო, მურია! ვერ მიცანი?! დაწყნარდით, არაფერს გიშავებთ... ჩემთვის ვარ... თუ გინდათ, გიმღერებთ...“

და ვიწყებ სიმღერას – ძველ, მეგრულ „ნანას“... ძველისძველს, შელოცვის ძალა რომ აქვს, ისეთს. ერთმანეთში ვურევ სიმღერებს, ხმას ვატკბობ... (არასდროს ამგვარი ხმით არ მიმღერია!) დრო-ჟამგამოვლილი ტკივილი, სევდა და მწუხარება ახლდა ჩემს ხმას. აშკარად ეამათ, ჩაყუჩდნენ. მისმენდნენ. საოცარი ხმოვანება შერეოდა ჩემს სიმღერას. მომნუსხველი ძალა აღმოაჩნდა, შემბოჭველი. და სასწაული მოხდა! ირგვლივ შემორტყმული, ყალყზე შემდგარი და გასაგლეჯად გამზადებული ცხოველები დაშოშმინდნენ, დაწყნარდნენ. ერთი იქვე, ფეხებთან გამიწვა. შავთმიანმა, მურა ძაღლმა, ყველაზე დიდმა და ძლიერმა (ალბათ, წინამძღოლმა) თავი ახლოს მომიტანა. ფეხსაცმლის ლანჩა დაყნოსა და ზედ თავი დაადო, თითქოს ჩემი საკუთრებაო, ანიშნებდა დანარჩენებს. არც ერთ მათგანს წინააღმდეგობა არ გაუწევია, ყველანი მისმენდნენ... უკვე აღარ ვმღეროდი, არც ვტიროდი, უაზროდ ვიჯექი. ბუნებასთან, ცხოველებთან, მუხის ხესთან კი საოცარ სიახლოვეს ვგრძნობდი.

მზე თანდათან გადაიხარა, ტყე ჩაყუჩდა. ძაღლები თვლემდნენ. ზოგიერთი მათგანი ძილ-ფხიზლად ყოფნას არჩევდა, ცალი თვალით მიჭვრეტდა.

რა დრო გავიდა, არ გამიგია... ჩემდა იღბლად, მუხის ტოტებიდან აფრენილმა ვეება ნაცრისფერმა ფრინველმა ფრთები გაშალა და სულ დაბლა-დაბლა წამოვიდა, ლამის თავზე გადამიქროლა. ტყისკენ დაეშვა. მისი ფრთების ტყლაშუნმა თუ წამიერმა გადაქროლებამ უმალ წამოშალა ძაღლების ხრო... გაავებით გაედევნენ. მალე ძაღლებიც მიიმალნენ და ფრინველიც. არც ერთი აღარ ჩანდა. როგორც გამოჩნდნენ, ისე გაქრნენ. გონზე მოსვლა გამიძნელდა, ვერც იმას მივხვდი, ყოველივე მომელანდა თუ სინამდვილეში მოხდა. აქამდე როგორ მოვაღწიე, არ გამიგია. ჯერაც ვერ მოვსულვარ გონს. მხოლოდ ერთს ვხვდები – ბავშვობის დროინდელმა, ტკბილმა მეგრულმა „ნანამ“ გადამარჩინა. მადლობა უფალს!

ნუნუ ქამუკაშვილი

მამულს

ტყე ჩიტუნებით მორთულა
და ყვავილებით კორდები,
ჩემო ლამაზო მამულო,
ნურასდროს დამიღონდები.

სიო რომ ყანებს დაუვლის,
ზღვად ღელავს ყანა – ზღვაური,
მზეკაბიანი, ზღაპრული,
მინდვრების დღესასწაული.

ეს ცისარტყელაც ციმციმებს,
ცის დამშვენება ინება,
იხარე, ჩემო მამულო,
ნატვრა ცას მოეფინება.

ლალი ჯაფარაშვილი

სამშობლო – უფლის წყალობა

მაის-ივნისში ბულბულების
ტკბილი გალობა,
ნიავის ქროლა, ჯეჯილის ღელვა,
სხივსიოზე მზეკაბანობა.
ბიჭების შფოთი, გოგონების
ნიავქარობა...
ეს სამშობლოა, საქართველო –
უფლის წყალობა!

დალი მაზმიშვილი

დიდი ნენე

ხანძთის ციდან ბადრი მთვარე
როცა გამოანათებს,
დედამიწას გაუგზავნის
სხივით ნაწერ ბარათებს.
სწორედ მაშინ დიდი ნენე
შვილთაშვილებს უყვება,
რომ წაართვა მზეთუნახავს
დევმა თავისუფლება.
დღემდე ელის გმირ მზეჭაბუკს
ქალი ოქროსთმიანი,
ტყვეობიდან გამოხსნა კი
სულ არ არის გვიანი.
მალხაზები უსმენენ და
საშველად მზად არიან,
მზეჭაბუკის გამოჩენა
ენატრებათ ძალიან.
ციდან მთვარე თავს ევლება,
ფიქრი იმედს ატარებს,
ღმერთო, ნატვრა აუსრულე
დიდი ნენეს პატარებს.

ქეთევან კვიტატიანი

უცნაური ცეკვა

კუ ტრიალებს, ცეკვავს ტანგოს,
ხვლიკი ფიქრობს, რამე ავნოს...
დაუარა განდაგანა,
თუ გინახავთ ამისთანა:
გაჰკრა კუდი, გაჰკრა მხარი,
ცეკვაც აღარ მთავრდებაო...
გახვითქული ხვლიკი ფიქრობს:
– ნეტავ, რად არ ბრაზდებაო?
კუ კი მაღლა იყურება,
თავზე ადგას მზეწვიაო,
ტანგოს ცეკვავს და ჩურჩულებს:
– სიყვარული მეწვიაო!

ვიკითხავ

კუ და ხვლიკი ქვეწარმავალთა რიგის ცხოველები არიან. მათი უმრავლესობა თბილ ადგილებში ბინადრობს. უპასუხეთ კითხვებს და ერთად გავარკვიოთ, რა ვიცით მათ შესახებ:

1. რამდენ წელს ცხოვრობს კუ?
   ა. ზოგჯერ 200 წლამდე;
   ბ. 1 წლამდე;
   გ. მილიონ წელიწადს.
2. ძირითადად რითი იკვებებიან ხვლიკები?
   ა. მწერებით;
   ბ. ხილით;
   გ. რძის ნაწარმით.
3. კუ ლოკოკინაზე სწრაფია, მაგრამ მაინც ძალიან ნელა დადის. კუს ჩვეულებრივი სიჩქარეა:
   ა. 1 ნაბიჯი დღეში;
   ბ. 10 კილომეტრი წუთში;
   გ. 70 მეტრი საათში.
4. რა ჰქვია ხვლიკს, რომელიც სინათლისა და ტემპერატურის მიხედვით იცვლის ფერს?
   ა. ცისარტყელა;
   ბ. ქამელეონი;
   გ. ჭრელაჭრულა.
5. ზღვის კუ იმ სანაპიროზე დებს კვერცხებს, სადაც თვითონ დაიბადა და შემდეგ ისევ წყალში ბრუნდება. როგორ ახერხებს დედა კუ კვერცხების დაცვას?
   ა. ყვირილით აფრთხობს ცხოველებს;
   ბ. მალავს ქვიშაში;
   გ. ღებავს ნაცრისფრად, რომ ცხოველებს ქვები ეგონოთ.
6. თუ მტაცებელი ხვლიკს სხეულის ამ ნაწილით დაიჭერს, ხვლიკი ძალიან სწრაფად იძრობს მას და მტერს უტოვებს, რადგან იცის, რომ მალე ახალი ამოუვა. რაზეა საუბარი?
   ა. თმაზე;
   ბ.კუდზე;
   გ. ღიპზე.

ზღაპარ-ანაგრამები

ნინო მზესელი

გამოიცანი ზღაპრის გმირები და პასუხები ჩაწერე კროსვორდში.

1. ბუხარში ნაცარს ქექავდა,
სიზარმაცისა მქმნელია,
ძმები სიბრაზემ შეიპყრო,
შეარქვეს . . . . . .

2. სახლის მოვლას, სამკალის მკას
ურჩევნია ძილი.
უქმად ყოფნის უდიდესი
. . . . . აქვს ნიჭი.

3. მეფემ, სიმდიდრით ქებულმა
სიზმრად ვირთხები იკმარა,
ღამით კაშკაშა მზე-მთვარეს
ვინ ნახულობდა? . . . . . .

4. დევებიცა და ხელმწიფეც,
სულ პანტაპუნტით ახანჯლა,
ქამარ-ხანჯლითა შობილსა
კი ერქვა . . . . . .



5. გაიტიკა ლეშით მელა,
ირბინა და იცინა.
. . . . . რომ გაიმეტა
სახრე ვერ აიცდინა.

6. ორი ცხვარი ებადა და...
კუშტად კრავდა კოპებს,
იმისთანა კომბლებს თლიდა,
ეძახოდნენ . . . . . .

7. გადაღვარა ბიჭმა წყალი,
ღორს გააძრო სიქა და ...
ვაჟს მეგობრად ხარი ჰყავდა,
ხარს რა ერქვა? . . . . . .

8. ირმის გამოზრდილ მზეჭაბუკს
ძალა ერჩოდა სიყრმისა,
გველეშაპიც კი დააზრო,
იცანით ალბათ . . . . . .

Sophie Imogen

ნინო მზეესელი

ფერია დილანა და მეგობრები

(გაგრძელება. დასაწყისი „დილა“ №1- 5)

– როგორ მიყვარს ღამეეე... მით უმეტეს, მაშინ, როცა, აი, ასეთი ლოყებსავსე მთვარე ანათებს არემარეს! ნამდვილი ზღაპართღამეა. დილანა, შენ რას იტყვი, რას დაარქმევდი ამ საოცარ ღამეს? აუუ... დილანა, შენ გეკითხებიიი!

– მოეშვი, სპლიყვო, ხომ ხედავ, როგორი მოწყენილია!

– და რა სჭირს, ციყვო?

– აბა, რა ვიცი, ვერცხლისფერი ღრუბლიდან ფეხის გადმოდგმისთანავე ასე მოიქუფრა... ისე, მეც მაინტერესებს, იქნებ, მეგობარს რამე უჭირს და ჩვენი დახმარება სჭირდება?!

– რას მარჩიელობთ, მოდი და ვკითხოთ! – კვერნის ნათქვამი ისე მოეწონა, სპლიყვმა მაშინვე ყურები ააპარტყუნა და ტყის სხვა ბინადრებთან ერთად მოგიზგიზე კოცონის პირას ჩამომჯდარი, ფრთებჩამოყრილი დილანასკენ წავიდა.

– ასეთი მოწყენილი არასდროს გვინახიხარ, რა გჭირს, დილანა?

– თუ ვინმემ გაწყენინა, შენ ოღონდ თქვიიი... – პაწაწკინტელა მუშტებს უაზროდ იქნევდა ჭიანჭველა.

დილანამ უარის ნიშნად თავი გააქნია, შემთხვევით რომ არ გაესრისა, ჭიანჭველა ხელისგულზე ფრთხილად დაისვა და თბილად გაუღიმა.

– აი, როგორც იქნა, გამოანათა! – სამზეოთის ტყე ყურისწამღები ტაშის გრიალმა შეაზანზარა.

– კარგი, გეყოფათ! ღამეს სიჩუმე უხდება, ჩუუუ...

– სიჩუმე კი არა, ზღაპარი უხდება, ფერიავ, ზღა-პა-რი!

– მართალი ხარ, ნაცარავ, მაგრამ ზღაპარსაც ხომ ჩუმად ვყვებით, განა ვყვირით?! – დილანამ ბაჭიას ჯერ თავზე მიუალერსა, მერე ირგვლივ შეკრებილ სამზეოთელებს გადახედა, ერთი ღრმად ამოიოხრა და თავის სადარდებელზე ალაპარაკდა:

– ჩემს ჯადოსნურ ჯოხს ხედავთ? თქვენთან რომ მოვედი, გახსოვთ, როგორ კაშკაშებდა?

– გვახსოვს, დილანა, აბა, არ გვახსოვს? მზერას ვერ ვუსწორებდით, პირდაპირ თვალს გვჭრიდა! – მგელმა კუდი ფინია ძაღლივით ააქიცინა.

– და ახლა ნახეთ, როგორ მქრქალად ანათებს, სადაც არის, სულ ჩაქრება და აღარ გაანათებს...

– ეგ არაფერი, მთვარე და კოცონი ხომ გვინათებს ღამეს; თუ საჭირო გახდა, ჭრაქს და სანთელსაც ავანთებთ!

– კარგია, ციყვუნა, გამოსავალს იოლად პოულობ, მაგრამ... მე ხომ ფერია ვარ? ჰოდა, ფერიებისთვის ეს იმას ნიშნავს, რომ... განა სამუდამოდ, დროებით მაინც უნდა დაგტოვოთ. მოკლედ, ყველაფერს აქვს დასარული.

– მაგრამ, ხომ შეიძლება დასასრულიც არ დასრულდეს!

ამ სიტყვებზე ლომსაც ცრემლი მოერია.

– ვფიქრობ, იმაზე ადრე შევხვდებით, ვიდრე თქვენ გგონიათ. აი, როგორც კი ჩემს ფერიულ საქმეებს მოვრჩები, მაშინვე თქვენკენ გამოვფარფატდები!

– რახან ასეა, რაღა გვიჭირს – შენ ისეთი სწრაფი ხარ, დიდხანს არ გვალოდინებ! – დათვმა ტორი ტორს ახლა უკვე ხალისით შემოჰკრა.

– აბა, გაირინდეთ! ისედაც დაგიგვიანდათ ზღაპარი, დროა, მოვყვე და წარმატების ფორმულა გაგიზიაროთ.

დილანამ გაიღიმა, ჰაერში მქრქალად მოციმ-ციმე ჯოხთან ერთად თვითონაც შემობზრიალ-და და სწავლას მოწყურებულ მგელზე ზღაპრის მოყოლა დაიწყო:

– ესეც რომ ნასწავლობას დაიჩემებს... – გულიანად იცინოდნენ მგლის ბუნაგის ფან-ჯარაზე დრუნჩმიჭყლეტილი მელიები და ტურები, მაგრამ მგელს სულ არ ადარდებდა, რომელი უსაქმური რას იტყოდა – მას ხომ ან-გარიშისა და წერა-კითხვის სწავლა მიზნად ჰქონდა დასახული, ჰოდა, ამიტომაც, რაც შეეძლო, სწრაფად ჩაალაგა მწვანე ზურგჩან-თა...

სანამ ტყის სკოლამდე მიაღწევდა, მგელმა კიდევ ბევრი მოითმინა: ხან მაჩვი გამოუხტა ბუჩქებიდან და იმდენი იცინა, სანამ ქანცი არ გასძვრა; ხან ციყვებმა გამოყვეს გაკრეჭილი თავები ფუღუროებიდან, ხანაც ზღარბებ-მა დაიწყეს ენის ჭარტალი – სულ ტყუილად მიკუნტრუშებ, მგელო, შენი დრუნჩ-კბილის პატრონს მაინც უკან გამოგაბუნძულებენ, მოდი, ნაძლევიო.

– საკმარისია, გეყოთ! რა მნიშვნელობა აქვს, როგორი ვარ, მთავარია, სწავლა მწყურია! – ზურგზე მოგდებული ჩანთა ბუზღუნ-ბუზღუ-ნით შეისწორა მგელმა, თუმცა ახლა ბაჭიებმა დაიგრძელეს ენა, დაიჩემეს, მგლის შესაფე-რის მერხს სკოლაში ვერ მონახავენო!

– წერასაც ვისწავლი, კითხვასაც... ამათ რა ჰგონიათ, ბუნებას ჩემთვის ტვინი არ მოუ-ცია? – თავის თავს აგულიანებდა მგელი, თუმცა ატყობდა, რაც მეტად უახლოვდებოდა სკოლას, მით მეტად უცახცახებდა ფეხები.

– იქნებ, მართალს ამბობენ? ნუთუ შეიძლე-ბა, ყველა ერთად ცდებოდეს? ეზოში ცალი თვალით შევიჭყიტები და სანამ შემნიშნავენ, აჯობებს, აქაურობას გავეცალო! – მგელმა ძალა მოიკრიბა, ცივი ოფლით დაცვარული თათებით ჭიშკრის სახელურს მოეჭიდა და სკოლის ეზოში პირველი ნაბიჯი შედგა. იქ კი სწავლის იმდენი მსურველი ნახა: მაღალი ჟირაფი, დაბალი პონი, ტანწვრილი შველი, ბუთხუზა სპლიყვი... მათ შემხედვარე მგელს სითამამე შეემატა და ზარს რომ არ მოესწრო დარეკვა, სკოლის კიბე სულ ხტუნვა-კუნ-ტრუშით აირბინა.

ჰოდა, არც შეცდა! მგელმა სწავლას ისე კარგად აუღო ალღო, სულ მალე წარმატების საკუთარი ფორმულაც კი შექმნა:

m+♡+$\boxed{\text{წ}}$=წ, სადაც m – მონდომებაა, ♡ – სი-ყვარული, $\boxed{\text{წ}}$ – წიგნი, ხოლო ტოლობის შემდეგ ჩარჩოს გარეშე მოცემული წ – წარმატება.

– აი, ამ ფორმულას გიტოვებთ და გამოიყე-ნეთ! – დილანამ ტყის ბინადრებს ჰაეროვანი კოცნა აჩუქა და ვერცხლისფერ ღრუბელზე შე-მოსკუპებული ბადრი მთვარისკენ გაფრინდა.

დასასრული

მხატვარი
მარიამ დავითაშვილი

ზოია ვაშაკიძე

ინვესტორი დათვი

მხატვარი
გიორგი ჩაჩანიძე

თაგუნიამ იპოვა
ინვესტორი დათვი.
შეიძინეს ტყის პირად
საწარმოო ფართი.
შეიკრიბნენ სასწრაფოდ
ვეფხვი, მგელი, მელა,
უცნობი და ნაცნობი,
დაასაქმეს ყველა.
დაასახლეს მაღლობზე
ფუტკრის ასი ოჯახი,
ვის ეგონა, თუ თაგუ
იყო ასე ყოჩაღი.
შუშხუნების აშვებით
დიდ ტყეს
მისცა სალუტი,
ყველა საქმე წარმართა
ეროვნული ვალუტით
და სულ მალე სკებიდან
ამოიღეს თაფლი.

იქვე სწრაფად ააგეს
თაფლის დიდი სახლი.
მერე, იცით, რა მოხდა?!
არ ცნობდნენ თაგვს,
არც ფუტკარს,
თაფლის მთელი საწყობი,
დათვმა დაისაკუთრა.
აღარავის დაუთმო
თაფლის ერთი წვეთიც,
გაახარა, დაატკბო
მხოლოდ სადათვეთი.
თაგუს თავში უეცრად
კარგმა აზრმა ინათა,
სიმართლის გასარკვევად
სასამართლოს მიმართა.
რახან ვერავინ შეძლო
დათვის გამოსწორება,
მიუსაჯეს სოროში
სამუდამო ცხოვრება!

ბოღლიწო

ახლა არ მკითხო, ეს რაღა არისო. უნდა იცოდე, ბოღლიწო ღვინოში ჩამბალ პურს ჰქვია. მაგრამ მე ახლა სულ სხვა რამ მინდა გიამბო. ეს ამბავი მეც ახლობლებისგან მოვისმინე.

სამი მამიდა მყავდა. მე რომ დავიბადე, სამივენი უკვე დიდები იყვნენ. მესამე, ნაბოლარა მამიდა, ჯერ არ იყო გათხოვილი და ჩვენთან ცხოვრობდა. სწორედ მის შესახებ გიამბობთ.

პატარაობისას, ასე რვა-ცხრა წლისა ყოფილა იქნებოდა მამიდაჩემი, დიზენტერია შეჰყრია (კუჭ-ნაწლავის ინფექციური დაავადებაა). დაახვიეს ჩემმა პაპამ და ბებიამ ექიმები, სად აღარ წაიყვანეს, ვინ აღარ მოუყვანეს, რა წამლები არ აყლაპეს, ვერ უშველეს; შვილი ხელიდან ეცლებოდათ. მიილია, მისუსტდა, საჭმელს საერთოდ ვეღარ ჭამდა და საშინელი ტკივილებისგან იკრუნჩხებოდა.

სამი პატარა შვილი ისედაც წაჰგვარა უფალმა ამ ოჯახს და ახლა უკვე მარიამის დაკარგვა უნდოდათ? არადა, მარტო ექიმები ვერაფერს ხდებოდნენ. ბებია თან ლოცულობდა თურმე, თან ცრემლად იღვრებოდა. პაპა უთქმელობით ჩამოხმა. წამლების მიცემას მაინც აგრძელებდნენ იმ იმედით, იქნებ, დღეს თუ არა, ხვალ მაინც უშველოსო.

ერთხელ მარიამს ცოტა რომ ჩაუყუჩდა ტკივილი, პაპამ მარნიდან თიხის დოქით საფერავი გამოიტანა, თიხისავე ჯამში ჩაასხა, პურს ყუა წაატეხა და რბილი ნაწილი, ლუკმა-ლუკმა დატეხილი, ღვინოში ჩააწყო. გულში რას ფიქრობდა, არავინ იცის, ხმამაღლა კი უთქვამს: – ხომ მიკვდება შვილი და იქნებ, ეს მაინც იხმიოსო, ესე იგი, იგემოს, ცოტა მაინც შეჭამოსო. ამოუღია ღვინოში ჩამბალი პური და შვილისთვის პირთან მიუტანია. ბავშვმა ჯერ თითქმის გალურჯებული ტუჩები შეარხია ოდნავ, მერე ერთი ლუკმა როგორღაც ნელ-ნელა შეჭამა (იხმია) და მიიძინა. კარგა ხანს ეძინა. რომ გაიღვიძა, მოითხოვა, კიდევ მაჭამეთ ბოღლიწოო. გახარებიათ პაპას და ბებოს; ბევრი ვერც ამჯერად შეჭამა, სულ ორი-სამი ლუკმა, მაგრამ აშკარა იყო, ბავშვმა მოიხედა.

ასე გაგრძელდა თითქმის მთელი კვირა. მარიამს ბოღლიწოს მეტი არაფერი უჭამია. ჯან-ღონე დაუბრუნდა, გამოკეთდა. დრო გავიდა, გათხოვდა და შვილებსა და შვილიშვილებსაც მოესწრო.

ზოგჯერ ექიმების გამოწერილს ხალხური წამლებიც უნდა მივახმაროთ ხოლმე, თუ გვინდა, რომ გამოვჯანმრთელდეთ.

მე ასე ვფიქრობ, შენ?

მხატვარი
გიორგი ჩაჩანიძე



რუსუდან კევლიშვილი
5 წლის



ამბავი ჭიანჭველაზე

ჭიანჭველა საჭმლის საშოვნელად მიდიოდა. უცბად დაინახა პატარა ტოტი, რომელიც მისცეს ლიზამ, რუსუდანმა და ქეთევანმა. ჭიანჭველამ აიღო ტოტი, გადაიდო ზურგზე, მაგრამ აღარ იცოდა, საით წასულიყო. გოგონებმა თითით უჩვენეს გზა.

ჭიანჭველას გაუხარდა, სახლი რომ იპოვა და გოგონებს ხელი დაუქნია: მადლობა ლიზიკო, რუსუდან და ქეთევან.

ამის შემდეგ კარგად ცხოვრობდა ჭიანჭველა.

დამთავრდა ზღაპარი, ბავშვებო, თქვენც კარგად იყავით.

ნახატი 8 წლის ლიზა კევლიშვილისა

რევუსები

მხატვარი
ნატა კუცია

მაკა კვაჭაძე

მამალი

დილით დგება მზეზე ადრე
გაბღენძილი, თამამი,
შემოჯდება მაღლა სერზე
თავქოჩორა მამალი.

გადმოხედავს არემარეს
და შეჰყივლებს მზესო
– გაიღვიძე, ამობრწყინდი,
აგერა ვარ მეცო.

ყივის, მანამ ყველა ზარმაცს
არ გაუქრობს ძილის სურვილს,
დილის ნამით გამომთვრალი
ჩვენს ეზოში ფერხულს უვლის.

ყურადღებას არვის აკლებს,
კრუხ-წიწილას დაყოფს, დათვლის,
იცავს ყველას, არ დაინდობს,
ებრძოლება, ვისაც მტრად თვლის.

საღამოზე დაქანცული
მზის ჩასვლასთან ერთად წვება,
რომ ძალები აღიდგინოს –
ის ხომ მზეზე ადრე დგება.

ანა
მამუკელაშვილი

ნია

მწვანე ჭერამს ითვლის ნია:
– ხუთი – ნინოს, ხუთი – გიას.
წამოადგათ თავზე ბებო:
– მუცელს გატკენთ, უჭკუებო.

ჭრელაჭრელა

ჭრელაჭრულას, წითელს, ყვითელს
ანაწილებს ნიტა ტიტებს.
თუ უმღერებ რამეს ნიტას,
მოგცემს ჭრელს ან ყვითელ ტიტას.
– მე ვუმღერებ იაზე,
გაზაფხულის ნიავზე,
ან მთებზე, ან ჩიტებზე,
ანდა ისევ ტიტებზე.

ედვარდ ამბოკაძე

(გაგრძელება. დასაწყისი „დილა“ №5)



შოშიები თბილ ქვეყნებში გასაფრენად ემზადებოდნენ. გადაწყვიტეს, ციცქნა-ბიჭიც თან წავიყვანოთ და გავასამართლოთო.

ერთმა შოშიამ ციცქნა ზურგზე შეისვა და გზას გაუდგნენ.

გზაში გაწვიმდა და სეტყვა წამოვიდა. ერთი დიდი ხოშკაკალა შოშიას თავში მოხვდა და დარეტიანებული თავდაღმა დაეშვა.

ციცქნა ბიჭმა ულრან ტყეში მოლზე მოადინა ბრაგვანი.

გონზე რომ მოვიდა, დაინახა, თავზე ციყვი ცელქა და ზღარბი ნემსა დასდგომოდნენ და თხილის ნაჭუჭით წყალს აპკურებდნენ.

ცელქა და ნემსა თხილითა და ვაშლით გაუმასპინძლდნენ ციცქნას.

ამ დროს, სად იყო და სად არა, მელია გამოჩნდა. ზღარბი შიშისგან ისე მოიკუნტა, ეკლის ბურთს დაემსგავსა, ციყვი ხეზე შეხტა.

ციცქნა-ბიჭს შეეშინდა. წაბლის ბუძგი ნახა, შიგ შეძვრა და დაიმალა.

მელიას ციცქნა-ბიჭი ზღარბი ეგონა და, აბა, რას დააკლებდა — კუდამოძუებული გაბრუნდა.

დარჩა ციცქნა-ბიჭი ტყეში, მალე ხეებს ფოთლები დასცვივდა, თოვლიც მოვიდა. მარტო ნაძვი იყო მწვანე.

ციცქნა-ბიჭი ხეზე ავიდა და ერთ გირჩზე დაბინავდა გამოსაზამთრებლად.

ერთხელ ტყეში ვიღაც კაცი მოვიდა. ციცქნა არც შეუმჩნევია, მოჭრა ნაძვი და წაიღო.

კაცმა ნაძვი შინ მიიტანა, დადგა და საახალწლო საჩუქრებით მორთო. მაშინღა შეამჩნია ციცქნა-ბიჭი.

იმ კაცის შვილებს სათამაშოებზე მეტად ციცქნა ბიჭის დანახვა გაუხარდათ. ნაძვის ხეზე პატარა სახლი გაუკეთეს.

ციცქნა-ბიჭი ახლაც ნაძვის ხეზე ცხოვრობს, კეთილ ბავშვებთან, არც სიცივის ეშინია და არც შიმშილის.

დილის მხატვრები

თამარ ბელაშვილი

შალვა ქიქოძე (1895-1921)

ზმანებასავით გაქრა, მაღალი, ლამაზი, უაღრესად განათლებული, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ახალგაზრდა, რომელმაც ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში უდიდესი კვალი დატოვა. ქართველი მოდერნისტების წარმოდგენა შალვა ქიქოძის გარეშე შეუძლებელია. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა უაღრესად მრავალფეროვანია. დაზგური გრაფიკის, კარიკატურის, თეატრის მხატვრობის გარდა მნიშვნელოვანია მისი ფერწერული ნაწარმოებები, მათ შორის როგორც ქართულ თემატიკაზე შექმნილი ნამუშევრები, ასევე პარიზული პერიოდის ნაწარმოებები. მოდერნისტულის გარდა, მის ნამუშევრებში თავი იჩინა იმპრესიონისტულ-პოსტიმპრესიონისტულმა თუ ექსპრესიონისტულმა ტენდენციებმა. ხშირად მიმართავდა თხრობის სიმბოლისტურ ენას და გამორჩეულად ეროვნული მახასიათებლების მატარებელი იყო. ძალიან ცოტა იცოცხლა იმისთვის, რომ რაიმე განსაკუთრებულ აღიარებას მოსწრებოდა, თუმცა დღეს ქართული ხელოვნების ისტორია მისი შემოქმედების გარეშე წარმოუდგენელია.

1915 წ.

1895 წლის 27 მაისს ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში, გერასიმე ქიქოძისა და მატრონე კალანდარიშვილის ოჯახში ვაჟი დაიბადა. ბავშვს შალვა დაარქვეს. მატრონე ხშირად ავადმყოფობდა და მალევე გარდაიცვალა. პატარა შალვას, და-ძმასთან ერთად ბებია ზრდიდა. წლების შემდეგ, გერმანიაში მყოფი მხატვარი თავის წერილებში წერდა: „ძვირფასო ბებიკო, ჩემო ბებიკო, როგორ მენატრები, რომ იცოდე. ყველაფერს მირჩევნია ეხლა შენთან სასადილო მაგიდასთან დამსვა... აქაური ცხოვრება უფლებას არ მაძლევს, რომ ხშირად ვიფიქრო ამაზე. მაგრამ როდესაც დავფიქრდები, მზადა ვარ მთელი ევროპა... ვანაცვალო ჩემს პატარა ბახვს, ეზოს, ჭიშკარს, ქათმებს, გოჭებს, ვინ მოსთვლის.“

შალვამ ხატვა თითქმის ლაპარაკთან ერთად დაიწყო. ხატავდა ყველაფერს, რაც მოსწონდა, აინტერესებდა ან იტაცებდა. სულ პატარას მარჯვენა ხელი დაუზიანდა. ხატვა იმდენად უნდოდა, რომ საჩქაროდ მარცხენა ხელით ისწავლა ფანქრის დაჭერა. თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში სწავლის წლებს უკავშირდება მისი პირველი კარიკატურები. ამ ნამუშევრების მთავარი გმირები მისივე მასწავლებლები იყვნენ. სხარტი, მკვირცხლი გონების მქონეს მახვილი თვალი და მსუბუქი მონასმი გამოარჩევდა. ამიტომაც გამოსდიოდა კარიკატურები და შარჟები ასე იოლად. იმდენად კარგად ხატავდა, რომ გიმნაზიის შენობაშივე პატარა სახელოსნოც კი მიუჩინეს.

სასწავლებლის დასრულებისთანავე, ოჯახის გადაწყვეტილებით შალვამ იურისპრუდენციის შესწავლა დაიწყო მოსკოვის უნივერსიტეტში. მას მამის განსაკუთრებული

1912 წ.

რიდი ჰქონდა და მის სურვილებს გამორჩეულად ითვალისწინებდა. არც ამჯერად აწყენინა მამას და პროფესია მისი სურვილის მიხედვით შეარჩია. ამის პარალელურად კი არც თავის ოცნებაზე თქვა უარი და მთელი მონდომებით დაიწყო მზადება მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სამხატვრო სასწავლებელში ჩასაბარებლად. ორი წელი ემზადებოდა მომავალი მხატვარი გამოცდებისთვის. 1916 წელს ის უკვე ფერწერის ფაკულტეტის სტუდენტია. ამასობაში ოჯახისთვისაც ნათელი ხდება ამ გადაწყვეტილების ერთადერთობა და ისიც იურიდიულზე სწავლას ანებებს თავს. მხატვარი იწყებს მოსკოვურ ჟურნალ-გაზეთებთან აქტიურ თანამშრომლობას: ბეჭდავს კარიკატურებსა და შარჟებს, ფსევდონიმით – chalico.

სამშობლოში დაბრუნებული შალვა ქიქოძე ასევე აქტიურად განაგრძობს პერიოდულ გამოცემებთან თანამშრომლობას. ამასთან, არა მარტო როგორც მხატვარი, არამედ როგორც მწვავე კრიტიკული წერილების ავტორიც. განსაკუთრებით კატეგორიულია, როცა გამოსახულებას ეროვნული ფორმისგან დაცლილს ხედავს.

1919 წლის „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ ინიციატივით საზღვარგარეთ სასწავლებლად იგზავნებიან ახალგაზრდა ნიჭიერი ქართველი მხატვრები: დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი და შალვა ქიქოძე. საოცრად გაუჭირდა სამშობლოს დატოვება. არადა, პირველად ხომ არ უწევდა სასწავლებლად სხვა ქვეყანაში გამგზავრება. მარშრუტი – ბათუმი-კონსტანტინოპოლი-მარსელი – ურთულესი აღმოჩნდა ახალგაზრდა მხატვრისთვის.

„ფოთს რომ გავდიოდით მაშინ ვიგრძენი, თუ რა ძნელია მოწყდე საკუთარ მიწა-წყალს, – წერს უკვე საფრანგეთში ჩასვლის შემდეგ მამისადმი მიწერილ წერილში, – დიდი ბრძოლა დამჭირდა, რომ არ დამეყვირა. ვფიქრობდი, სამშობლოს მე მგლეჯენ-მეთქი და არა მე ვშორდები-მეთქი მას. არაფერი განმიცდია, არასდროს ამდაგვარი. სხვაგანაც ვყოფილვარ აკი, ხიფათისგანაც ვმდგარვარ ახლოს, მაგრამ, არსად შიში და ძრწოლა, ნერვების მოშლა და დაღლილობა არ განმიცდია. მაშინ კი გემის ბაქანზე განვიცადე ეს შიში. აღარ მინდოდა არსად წასვლა, გამოვტყდები, სიყვარული, დიდი, საკვირველი სიყვარული მისი, რაც დავტოვე, ბობოქრობდა ჩემს მკერდში. და ვგრძნობდი, რომ ჭეშმარიტად დიდია და მშვენიერი ის ქვეყანა, რომელსაც თავის შვილში ასეთი გრძნობების აღძვრა შეუძლია.“

ზოგჯერ უცნაურად ლაგდება ადამიანის ცხოვრება. ვინ იცის, შესაძლოა წინათგრძნობაც იყო. ასეთი სიმძაფრით განცდილი განშორება სამუდამო დასასრულის მაუწყებელი აღმოჩნდა. მხატვარი საქართველოში ვეღარ დაბრუნდა. მძიმე სენით დაავადებული, 27 წლის ასაკში გერმანიაში, ქალაქ ფრაებურგში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს.

ლექსიკონი:

იმპრესიონიზმი – ამ მხატვრულ ტენდენციას XIX ს-ის 70-იან წლებში საფრანგეთში ჩაეყარა საფუძველი. მისი მთავარი მახასიათებელი წამიერი შთაბეჭდილების გამოსახულებაზე გადმოტანა-დაფიქსირება იყო. შემთხვევითი როდია, რომ საკუთრივ ტერმინი იმპრესიონიზმიც ფრანგულიდან თარგმანში შთაბეჭდილებას ნიშნავს.

პოსტიმპრესიონიზმი – მხატვრული მიმდინარეობა, რომელიც იმპრესიონიზმის შემდგომ მკვიდრდება საფრანგეთში. მისი წარმომადგენლები ფერისა და ფორმისმიერ ახლებურ ძიებებს განაგრძობდნენ და სულ უფრო მეტად უარყოფდნენ ხელოვნებაში მანამდე დამკვიდრებულ ხატვის აკადემიურ მანერას.

ექსპრესიონიზმი – მხატვრული მიმდინარეობა, რომელიც XX ს-ის დასაწყისში ჩაისახა გერმანიაში და რომლის მთავარი ამოცანა გამოსახულების მაქსიმალური ემოციური დაძაბულობის ზღვარზე წარმოჩენა-ასახვა იყო.

ჟურნალ „დილას“ 2013 წელს მიენიჭა არამატერიალური
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი

მთავარი რედაქტორი: დოდო წივწივაძე
ნახატი ყდაზე: თეა მიქაიასი
მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77
http://www.dila.ge, ელ–ფოსტა: **dila1904@yahoo.com,**
facebook: **საბავშვო გამომცემლობა დილა**
ფასი: 2.50 ლარი

ISSN 0132-5965

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა
და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.

ეროვნული სასლი

საქართველოსკულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო